**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 72 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 72

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

გამოვიდა დ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაჭი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალი ეეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესას წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.**

---

რო ინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი).

## იჯარით აგილე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

---

## ჩვენ ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.

ჩვენს ხელის-მომწერთ შეუძლიანთ დაიბარონ რედაქციისაგან

**„საქართველოს კალენდარი"**

ვალ. გუნიასი, გამოცემული წ.-კ. საზოგადოების მიერ, დაკლებულ ფასად: ტფილისს გარეშე გაგზავნით 1 მან. 30 კაპ. მაგიერ 70 კაპ., ხოლო თვით რედაქციაში — მანათის ნაცვლად—50 კაპიკად.

## რედაქციისაგან

გაზ. «ივერიის» დილის ახალი დეპეშები დაიბეჭდება გასასყიდად მხოლოდ იმ დღეს, როდესაც **საყურადღებო ამბები** მოვა შორეულ აღმოსავლეთიდან.

საჭიროა დეპეშების გამყიდავები. მსურველთ მიჰმართონ ექვთიმე ხელაძის სტამბას (იარმუკა, სომხ. სემ. სახლები).

ვისაც სურს პროვინციაში დეპეშების გაყიდვა იკისროს, მიჰმართოს «ივერიის» რედაქციას და შეატყობინოს, რამდენი ცალი ეგზავნოთ მხოლოდ ოც ცალზე ნაკლები-კი არ შეიძლება.

---

გამოვიდა და ისყიდება ,,წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

**ჩემი თავგადასავალი.**

აკაკისა

ფასი 1 მანათი.

---

**სამეურნეო ბანკის**

წევრთა წლიური კრება დანიშნულია კვირას, 21 მარტს, დილის თერთმეტ საათზე, ბანკისავე დარბაზში.

კრებას განსახილველი აქვს შემდეგი საგნები:

1) წლიურის ანგარიშის შესახებ საბჭოს მოხსენება.

2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

3) წლიური ანგარიში.

4) მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

5) კომისიის მოხსენება სამეურნეო ნაწარმოების დაგირავების შესახებ.

6) გამგეობის წევრის არჩევანი, თ. ვლ. სვ. მიქელაძის მაგიერ, რომელსაც ვადა გაუთავდა. არჩევანი საბჭოს ორის წევრისა ი. გ. თულაშვილისა და ი. ვ. საგინაშვილის მაგიერ, რომელთაც აგრეთვე ვადა გაუთავდათ, და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და სამის კანდიდატისა. (3—1).

---

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დასურათებული

## რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».
ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩ., № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩ. სახლი მიღოვისა, № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩ., № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ** პეტერბურგის ქუჩ. საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩ., № 41.

---

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ვ. აკოფიანცი.** 11—12 საათამდე —კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა- ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $1-1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** $1-1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს.ე ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

წლ.

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დ ი ლ ი თ:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მუღნინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ა. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**მრ. მ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**მ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

გენერალ კუროპატკინის იმედი.—პორტ-არტურის ფლოტის უმოქმედობა.—„ნოვოე ვრემიას" იმედი.—განცალკავებული მხარე ციმბირში.—ავადმყოფობა რუსის ჯარში.—პორტ-არტურის კომენდანტის განკარგულება.—ქ. დალნი.

ერთს რუსის გენერალს თავისი ბაასი გენერალ კუროპატკინთან გადაუცია «ფიგაროს» კორესპონდენტისათვის. გენერალ კუროპატკინს უთქვამს:

«ჩვენი ფლოტი აზიის აღმოსავლეთში იაპონიის ფლოტზე რიცხვით მცირეა და, ამას გარდა, იაპონელებს კარგი დოკები აქვთ, სადაც დაზიანებულ გემებს მალე ასწორებენ. ჩვენს ფლოტს ამ ჟამად მხოლოდ ის შეუძლიან, რომ იაპონიის ფლოტის ყურადღება მხოლოდ პორტ-არტურსა და ვლადივოსტოკს მოანდომოს, ხოლო ეს დროებითი ულონობა მალე შეიცვლება. მოვა დრო, როდესაც ჩვენი ფლოტიც გაძლიერდება და თავს იჩენს. მოვა დრო, როდესაც აღმოსავლეთ-აზიის ზღვებზე ჩვენ რვა ჯავშნიანი გემი, შვიდი კრეისერი და 32 ნაღმიანი გემები მოგვემატება. ჩვენი ფლოტი მაშინ ამოიღებს მრისხანე ხმას. იმ დროსთვის, თუ ღმერთი ინებებს, მეც დავძრავ იაპონელებს იმ ადგილებიდგან, რომელიც ეხლა იმათ დაჭერილი აქვთ ხმელეთზედ, დაუკან, ზღვაშივე გადავყრი.

მაშინ ჩვენს ფლოტს ორნაირი საქმე გაუჩნდება; პირველი: იმან უნდა დაღუპოს სატრანსპორტო გემები, რომლებმაც იაპონიის ჯარი სამშობლოსაკენ უნდა წაიყვანოს, და მეორე: ჩვენს სატრანსპორტო გემებს გაუძღვეს, რომ ჯარი გადავსხათ.

— როგორ?—უკითხავს მეორე გენერალს,—თქვენ იაპონიაზე გალაშქრებას ჰფიქრობთ?

— ჩვენ იაპონიას დავეცემით, გახსოვდეთ ეს ჩემი სიტყვა. ევროპამ იშფოთოს, ჩაერიოს, რაც უნდა და როდესაც უნდა, ისა ჰქმნას, ჩვენ რა გვესაქმება. ზავის პირობას ტოკიოში დავწერთ».

ეს კორესპონდენცია გაგზავნილია მოსკოვიდგან 1 მარტს. («ბ. ვ.»).

მიმტანმა, შეიძლება, ერთბაშად დაჰკრას და მკლავ-და-მკლავ შეებას ხმალ-ხიშტით. ამისთანა ბრძოლაში კი რუსის სალდათი შეუდარებელია.

—

პოლ ფონტენს გაზ. «რევიუში» არ მოსწონს პორტ არტურის ესკადრის მოქმედება.

პირველად რომ იაპონელების ესკადრა შეებრძოლა რუსის ფლოტს პორტ-არტურსა და ჩემულპოში, რუსის ფლოტი მორჩილად იდგა და არაფერს აკეთებდა. იაპონელებს-კი ამ დროს თავისი ჯარი ჩემულპოში გადაჰყავდათ. იაპონელებს იმ დროს ისეთი ძლიერი ფლოტი არა ჰყავდათ, შედარებით, რომ რუსეთის ფლოტს ბრძოლა ვერ შესძლებოდა. რუსებს იმდენივე გემი ჰქონდათ, რამდენიც იაპონელებს, და ხელ-გაუნძრევლად კი იდგნენ თითქო მიბმულნი არიან პორტ არტურის კლდეებზე და ციხე-სიმაგრესათვის თავი შეუფარებიათო. ადმირალი სტარკი არც კი ეცადა გაეკეთებინა რამე და თავისი ნაღმიანი გემებიც-კი არ გაჰგზავნა დასახვედრად, რაც ამ შემთხვევაში საჭირო იყო. ადმირალმა ალექსეევმა, თავისს მოხსენებაში, აღნიშნა ასე უმოქმედობა ფლოტისა: ომში მონაწილეობა მიიღეს პირველ და მეორე დივიზიის ნაღმიანმა გემებმა, ესკადრას მარჯვნივ უდგნენ და ელოდდნენ მტრის მოახლოვებასა და ბრძანებას, რომ შეებრძოლნო, მაგრამ ბრძანება არ მიეცათ. იაპონელები, უეჭველია, განცვიფრდებოდნენ, რომ ნაღმიანი გემები არ დაეტაკნენ, როდესაც ნავთსადგურს ყუმბარებს უშენდნენ. უფრო განსაცვიფრებლად ის დარჩენოდათ, რომ გაბრუნების შემდეგაც კი ნაღმიანი გემები არ დაედევნენ იაპონელების ესკადრას და არ დააზიანეს. ცხადია, იაპონიის ადმირალმა თავისი ესკადრა გათენებამდე იმიტომ გააცალა პორტ-არტურს, რომ ნაღმიანი გემები არ დაგვედევნონო. პორტ-არტურში-კი იმ დროს ორი საუკეთესო რაზმი ყოფილა ნაღმიან გემებისა, რომელიც ადვილად დაეწეოდა იაპონელთა ესკადრას. ამ ესკადრაში მხოლოდ შვიდი ჯავშნიანი გემი იყო და რუსებს შეეძლოთ ძვირად დაესვათ იაპონელთათვის ის რამდენიმე ყუმბარა, რომელიც ნავთსადგურს ამაოდ ესროლეს. იაპონელების იერიშის დროს, შესაძლო იყო, რუსის ნაღმიან გემებს სულ დაეზიანებინათ მტრის ესკადრა.

საუცხოვო დივიზია ნაღმიან გემებისა ვლადივოსტოკში აქამომდე არც-კი გამოსულა, რომ იაპონელების გემებს დაუხვდეს სადმე. ამის გამო, იაპონელებს სამის კვირის განმავლობაში გაუადვილდათ, 190,000 ჯარი გადაესხათ კორეაში და სრულიად რიდი არა ჰქონოდათ იქვე ახლო მყოფ რუსის ფლოტისა. მაინც ჩვენი მოკავშირენი უიმედობას არ უნდა მიეცნენ. იმისთანა ენერგიულ უფროსს, როგორიც ადმირალი მაკაროვია, შეუძლიან იაპონიასა და კაცობრიობას აჩვენოს რუსეთის ფლოტი ძლიერება. ნაღმიან გემების ბრძოლა 10 მარტს (ახ. სტ.) ამტკიცებს, რომ ადმირალი მაკაროვი თავის მოწინავის გზას არ ადგია. «პ. ვ.»).

—

«იაპონელები მალე მთლად კორეას დაიჭერენ. ორასი ათასი ჯარის-კაცი ქვიშასავით მოედება ნახევარ კუნძულს, რომელიც მთიანი ადგილია, დაიჭერს რაადენსამე მიუდგომელ ადგილს და გაამაგრებს. რუსეთის ჯარს გაუძნელდება იაპონელების გაძევება სიმაგრეებიდგან. იაპონელები ერთს ადგილას გაჰერდებიან და რუსებს აიძულებენ იერიში მიიტანონ, ხოლო ჩვენს დროში მიუდგომელ სიმაგრეების აღება ადვილი არ არის, მეტადრე თუ იმისთანა მცველი ჰყავს, რომელსაც ახალი იარაღი აქვს. აქ რამდენიმე პლევნა გაჩნდება, რომელიც მრავალ მსხვერპლს შეიწირავს».

აი, რა აშინებს ჩვენს პატრიოტ-პესიმისტებს, აი რა აწუხებს ჩვენს უცხოელ მოკავშირეთაო,—ამბობს «ნოვ. ვრემია».— ამისთანა შიშის გასაქარწყლებლად უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთსა და იაპონიას ერთნაირი იარაღი აქვს,—მაგაზინის თოფები, რომელიც უკვამლო წამლით 4 ვერსის სიშორეზე ისვრის ტყვიას, არტილერიაც საუკეთესო და შორს მსროლია. ამ ომისათვის რუსეთი უკედ არის მომზადებული, ვიდრე იყო 1877 წელს, როდესაც ჩვენს ჯარს კრიკის სისტემის უვარგისი თოფები ჰქონდა და ოსმალეთისას-კი პიბოდისა და ვინჩესტერის თოფები. ჩვენი არტილერიაც ბევრად სუსტი იყო...

იერიშის მიმტანი, რასაკვირველია, უფრო ცუდს გარემოებაშია, ვიდრე ციხე-სიმაგრეში მდგომი; მაგრამ აქაც მრავალი მოულოდნელი და წინად მოუფიქრებელი გარემოება ხელს უწყობს იერიშის მიმტანს. მართალია, ეხლანდელი იარაღი მუსრს ავლებს მტერს, მაგრამ თუ ციხიდგან 4 ვერსის მანძილზე დაუწყეს სროლა მიმავალ მტერს, მაშინ ტყვია-წამალი შემოაკლდებათ და, როდესაც მტერი მიუახლოვდება, ველარ მოიგერებენ. ამისათვის შორიდგან-კი არ ესვრიან მტერს, არამედ როცა დაუახლოვდება. მაშინ-კი იერიშით ომი აუტანელი ტვირთია შორეულ-აღმოსავლეთში მცხოვრებ რუსთათვის, რომელნიც მუდამ ეჳსა და შიშს ქვეშ უნდა იყვნენ, საქმეზე გული აიყარონ ანუ უნებურად მოსცდნენ, ცოლ-შვილი შორს სადმე გაჰიხიზნონ თავშესაფარებლად და საზრდო შეიმცირონ, ანუ მამასისხლად იყიდონ.

ხოლო უფრო აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდება ზღვის პირის ოლქის ჩრდილო განაპირიო, სადაც ჯერ არც-კი ეცოდინებათ, რომ ომი დაიწყოო,— ამბობს «მოსკ. ვედ.» იქაურ ოლქებში აი რავდენი მცხოვრებია:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პეტროპავლოვსკის ოლქში | | | 7,540 | სული |
| ოხოტსკისა | — | — | 4,550 | « « |
| გიჟიგინისა | — | — | 6,990 | « « |
| ანადირისა | — | — | 8,817 | « « |
| კომანდარის კუნძულზეზე | | | 552 | « « |

ეს ოლქები, რომელსაც მილიონზე მეტი ოთხ-კუთხი საჟენის სივრცე უჭირავს, მდიდარია ბეწვიან ცხოველებითა და თევზეულით. ხვნა-თესვა-კი იქ სრულიად არ არის. ამისათვის მთავრობამ იკისრა იქაურ მცხოვრებთ პური აძლიოს და თევზის საჭერი იარაღი თუ მასალა

უგზავნოს. იქ დაარსებულია მაღაზიები, სადაც დამზადებულია ორის წლის სამყოფი ფქვილი, მარილი, თოფის წამალი, კანაფი და სხ.; ყოველ წელს ეს სურსათი და მასალა უნდა განახლდეს, რისთვისაც ვლადივოსტოკიდგან იგზავნებოდა რუსისა თუ უცხოელების გემები.

რა ეშველებათ ეხლა იქაურ მცხოვრებთ, როდესაც რუსის გემების მიმოსვლა დიდს ოკეანეზე სრულიად მოისპო? შესაძლოა ხმელეთით გაიგზავნოს სურსათი, კოლიმიდგან, მაგრამ გადაზიდვა ძვირად დაჯდება და თვით კოლიმის ოლქში ხანდისხან ფუთი ჭვავის ფქვილისა 11 მანეთამდე ადის. შეიძლებოდა საბარგო გემებისთვის ორიოდე კრეისერი გაგვეყოლებინა, მაგრამ ფლოტის შემცირება სასურველი არ არის. ერთი საშუალება-ღა დარჩენილა: ამერიკაში დამზადდეს სურსათი და ამერიკის სავაჭრო გემებით გაიგზავნოს ჩრდილო აღმოსავლეთ ციმბირში. ამერიკის ზღვებზე შიში არა აქვს გემებს; ერთად-ერთი საეჭვო ადგილი ბერინგის ზღვაა, მაგრამ აქაც სახიფათო არა უნდა იყოს-რა. მაინც-და-მაინც, ერთს წელიწადს გასძლებენ აღნიშნულ ოლქების მცხოვრებნი და ამ დროს მოვახერხებთ როგორმე საზრდოს მიწოდებას, როგორც უნდა დაგვიჯდეს.

ხმა გავრცელდა, ვითომც რუსეთის შორეულ-აღმოსავლეთის ჯარში მოარული სენი გაჩნდაო. ამის გამო გაზეთ«ბირჟ. ვ.» შემდეგი ოფიციალური ცნობები მიუღია:

აქამომდე რუსის შორეულ-აღმოსავლეთის ლაშქრებში სახადით არც ერთი კაცი არ გამხდარა ავად. სამხედრო საექიმო სამმართველომ ყოველი ღონისძიება მიიღო, რომ მოარული არავინ შემოიტანოს ჯარში. ამისათვის ყოველ ჯარის კაცს, რომელსაც კი ომის ველზე ჰგზავნიან, ექიმები დიდის ყურადღებით სინჯავენ. ირკუტსკსა და ჩიტაში განსაკუთრებული საავადმყოფოებია საეჭვო ავადმყოფთათვის. ყოველს რაზმს თან მიაქვს საქირურგო და სადეზინფექციო მასალა და წამლები.

—

პორტ-არტურის კომენდანტის თანამდებობის აღმსრულებელს შემდეგი ბრძანება გაუცია: თუმცა 13 თებერვალს 20 კაცი დავაპატიმრეთ, რომელიც ვილასაც და რაღასაც ანიშნებდნენ, მაგრამ ამ ღამეს, 3 საათზედ, ჩემს სადგომსა და ინტენდანტო საწყობს შუა მოედანზე კიდევ შევნიშნეთ ერთი კაცი, რომელიც ფანრით რაღაც ნიშნებს აძლევდა. ეს საეჭვო კაცი ჩინელების უბნისაკენ გაიქცა და ვერ შევიპყარით. ვინც ამისთანა გასართობ საქციელში შენიშნულ იქნება, დაისჯება ომიანობის დროის კანონით. დარაჯებს ვავალებ, თუ ამისთანა საქციელში შენიშნულმა გაქცევა დააპიროს, თოფი დაუშინონ. («რ. ვ.»).

—

ქ. დალნიდგან მცხოვრებლები გახიზნულან და იქ მხოლოდ 700 სული დარჩენილა, მათ შორის 150 ქალი. ყოველი დაწესებულება სხვაგან გადაუტანიათ. თუ რომ იაპონელებმა ამ ქალაქის აღება დააპირეს, საჭიროა სამხედრო საავადმყოფოც გადატანილ იქმნას, რადგან იაპონელების კაცთ მოყვარეობას ვერ დავემყარებითო,—ამბობს«ხარ. ვესტნიკი».—სხვა არა იყოს-რა, ეს ხომ ნამდვილია, როგორც სამხედრო ექიმები ამტკიცებენ, რომ 27 იანვარს იაპონელებმა მოშხამული ყუმბარები ისროლესო. იმ დროს დაჭრილი ჯარის კაცები თითქო რჩებოდნენ, მაგრამ 3—6 თებერვლიდგან უმიზეზოდ ცუდად ხდებოდნენ და კვდებოდნენო. ექიმებმა გასჭრეს და აღმოაჩინეს, რომ სასუნთქი ორგანოები მოშხამული ჰქონდათ. ეს სწორედ მოშხამულ ყუმბარების მიზეზით უნდა იყოს. შემთხვევით თუ განგებ, იაპონელები რომ იერიშით მიდიან პორტ-არტურზე, რამდენიმე ყუმბარა საავადმყოფოსთან ეცემა ქ. დალნიში... აი მაგალითი იაპონელების თავგასულობისა: 6 თებერვალს რკინის გზის აქაურ სადგურზე ერთმა იაპონელმა ბილეთის ყიდვა ინდომა ქ. ხარბინამდე. მოხელეებმა მოსთხოვეს, ბარგი გვაჩვენეო. იაპონელი ვითომც ბარგის მოსატანად წავიდა, ის კი არა თუ, ფეხი დაჰკრა და თავს უშველა. გაჩხრიკეს მისი ბარგი, ორს ყუთში ჩალაგებული, და აღმოჩნდა სამჭედლო იარაღი, ბურღების მოსაშლელი, რკინეულის ხერხი, ქლიბები, გასაღებები და სხვ., ეს იარაღები სულ ახალთ ახალი ყოფილა, სრულიად უხმარი.

—

რუსეთისა და იაპონიის ფლოტის შესახებ შემდეგს ამბობს ინგლისის ვიცე-ადმირალი ფიც-ჟერალდი:

იაპონიის ექვსი ჯავშნიანი გემი და ექვსი ჯავშნით მოცული კრეისერი სწორედ ერთგვარად და ერთს სისტემაზე არის აგებული. რუსეთის გემები-კი სულ სხვა-და-სხვა ნაირია და სხვა-და-სხვა ადგილს არის აგებული: პეტერბურგს, ფილადელფიას, ტულონს, კილს, შტეტინს, კოპენჰაგენსა და დანჩიგში. ეხლანდელი გემები მეტად რთულის სისტემისა არის და იმათი მოხმარება ყველა მეზღვაურს არ შეუძლიან, რადგან ყველა გემი ცალკ-ცალკე უნდა შეისწავლონ. ეხლანდელი სამხედრო გემები რუსეთისა და იაპონიისა სულ ამ ათის წლის განმავლობაში არის გაკეთებული. იაპონია ეხლაცა და წინადაც ახალს გემს არ ააგებდა, თუ რომ მათი შესაფერი ნასწავლი და დახელოვნებული მეზღვაურები არა ჰყავდა. რუსეთი-კი, როგორც ეტყობა, მცირე ყურადღებას აქცევს მეზღვაურთა მომზადებას და ახალ გემების აგებას,თუნცა ყიდვას კი ჩქარობს, რომ ბევრი გემები ჰქონდეს. (პ. ვ.).

—

ზოგს ვერ გაუგია, რა აზრი აქვს ადმირალ ტოგოს ესკადრის ასე გამუდმებულ და უშედეგო იერიშის მიტანას პორტ-არტურზე. ამის გამო რუსეთის მეზღვაურთა მთავარ-შტაბის უფროსს ადმირალ როჟდესტვენსკის უთქვამს: უსაფუძვლობა და უსამართლობა იქნება, რომ უგუნურობა ვუწოდოთ ადმირალ ტოგოს მოქმედებას. უეჭველია, იერიშის დროს იაპონელებს თავისი ჯარი გადაჰყავთ კორეაში და იერიშს ის აზრი აქვს, რომ ჩვენმა ფლოტმა, ზღვაზე გამოსულმა, ხელი არ შეუშალოს. ჯარის გადაყვანა ყოველ თორმეტის დღის შემდეგ მომხდარა და სწორედ ამ დროს მოდიოდა იერიშით იაპონიის ესკადრა. თითო იერიში იაპონელებს 500,000 ფრანკად დაუჯდათ. («რ. ვ.)

—

განზრახულია, რომ 1 აპრილს ბაიკალის ტბაზე ყინული გასჭრან და არხი გაალონ, რათ გემებმა თავისუფლად იარონ. პირველად ყინულის მჭრელი გემი ივლის—«ბაიკალი». ერთსა და იმავე დროს მიმოსვლა წყალზედაც იქნება და ყინულზედაც. ბაიკალის ნაპირის რკინის გზას მაინც საჩქაროდ აკეთებენ. 1 აპრილამდე გასაყვანი დარჩება მხოლოდ 80 ვერსი და ამ მანძილს ჯარი ფეხით გაივლის. ამ რიგად, ჯარს გზაზე სრულიად აღარა დააბრკოლებს-რა. («ნ. ვ.»).

—

ჩინეთის ქვრივმა იმპერატრიცამ გამოუცხადა გენერალ მასა და ვიცე-კოროლ იუანშიკაის, რომ იაპონიასთან ხელშეკრულობას ვერ დავსდებთ და ნეიტრალიტეტი მტკიცედ უნდა იქმნას დაცულიო. («ნოვოსტი»).

—

ევროპის ყურადღება ამ ჟამად მიიპყრა ინგლის-საფრანგეთის დაკავშირებამ, თუმცა შინაარსი მათის ხელშეკრულობისა ჯერ არ არის გამოქვეყნებული. ჰფიქრობენ, ვითომც ამ ორთა კავშირს რუსეთიც მიემხრობა და გაჩნდება სამთა კავშირი. ამ კავშირს არ თანაუგრძნობს მხოლოდ გერმანია. რა შედეგი ექმნება ამ ორთა კავშირს; მომავალი გამოაჩენს. ჰფიქრობენ, კავშირი ნეიტრალიტეტს განამტკიცებს, რომ ომში არავინ ჩაერიოსო. («ნოვოსტი»).

## ტფილისი

*** გუშინ-წინ დიდ ძალი ხალხი შეიკრიბა ქალაქის საბჭოს დარბაზში, ქალაქის თავისუფალ მიწების იჯარით ასაღებად. იჯარით გაიცა მხოლოდ ხუთი ნაჭერი დანარჩენი ადგილების საზღვრები, როგორც გამოირკვა, კარგად არ არის აღნიშნული და არავინ იკისრა იჯარით აღება, ვიდრე საზღვარი მკაფიოდ არ ექმნება შემოვლებული.

*** ზოგიერთი სახლის პატრონები ჰყიდიან სახლებს, რომლის დასაფასებელი გადასახადიც გადახდილი არა აქვთ. ამიტომ დიდი დავიდარაბა ასტყდება ხოლმე. მყიდველი ამბობს: ძველი დასაფასებელი გადასახადი გამყიდველმა უნდა გადაიხადოსო, რადგან სახლით მაშინ ის სარგებლობდაო; გამყიდველი-კი ამბობს; ჩემგან ვინც სახლი იყიდა, სახლზედ დარჩენილი გადასახადიც იმან გადაიხადოსო.

ქალაქის საბჭოს მიერ საგანგებოდ არჩეულმა კომისიამ დაადგინა, დასაფასებელი გადასახადი კომისიამ იმას გადაახდევინოს, რომელიც სარგებლობდა სახლითაო.

*** დაინიშნენ: ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი სტ. სოვეტ რუსანოვი—კავკავის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად; ტფილისის ოლქის სასამართლოს მდივანი კოლ. ასეს. მირონოვიჩი—ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად. („კავკ"..)

*** შესდგა საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ტფილისის გოგირდის წყლები, კომისია მოქმედებას ამ დღეებში დაიწყებს

*** ტფილისშია ამ ჟამად ერევნის გუბერნატორი, ტაინი სოვ. გრაფი ტიზენაუზენი.

*** ჩვენ ვწერდით, გენერალ ლისოვსკის მკვლელი ჯერ ვერ აღმოაჩინესო. ამ ჟამად უკვე შეუპყრიათ მოჯამაგირე გენერალ ლისოვსკისა, 15 წლის ვართანა, რომელიც გამოტეხილა და ყველაფერი დაწვრილებით უამბნია.

*** დღეს, 20 მარტს, კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრებაა დანიშნული. კრება საღამოს 8 საათზე დაიწყება.

*** ჩვენის გაზეთის ხელის მომწერთ შეუძლიანთ ფას-დაკლებით შეიძინონ ჩვენს რედაქციაში „საქართველოს კალენდარი», შედგენილი ვალ. გუნიას მიერ, გამოცემ. ქ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან ქალაქ-გარედ გასაგზავნ ხარჯიანად 70 კაპ. დაეთმობათ, ტფილისში—50 კაპ.

*** გუშინ, 19 მარტს, ქსენიის ქუჩაზე, შუადღის 12 საათზე, ცეცხლი წაეკიდა თავ. ზაქარია ჭავჭავაძის სახლს. ცეცხლი სამზარეულოდან გაჩენილიყო. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ცეცხლის ჩაქრობა დროზედ მოასწრო. ზარალი ჯერ არ გამოურკვევიათ.

*** ტფილისის მდაბიო მოქალაქეთ მამასახლისმა ბუდანოვმა თანამდებობას თავი გაანება. მამასახლისის მოვალეობას დროებით ბ-ნი დანდუროვი ასრულებს. მოკლე ხანში საზოგადო კრებას დანიშნავენ მამასახლისისა და სხვა თანამდებობის კაცთა ასარჩევად.

*** ქალაქის საფინანსო კომისიამ წაჰბაძა ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიას და დაადგინა, გაზეთის თანამშრომლებს უფლება მისცეს მისს სხდომებზე დასწრებისა.

*** გორის ქალაქის თვით-მმართველობას გადაუწყვეტია, 1,000 მანეთი გადასდოს შორეულ-აღმოსავლეთში დაჭრილ რუს-მეომართა და დაობლებულ ოჯახთათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** რამდენსამე ქართველს განუზრახავს შეადგინოს ამხანაგობა «ალი». ამხანაგობას აზრად ექნება, ხე-ტყისა და კირის გამოტანა სოფ. ალიდგან (გორის მაზრა). მეთაურთ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა უკვე აღუძრავთ და ნება რთვას ელიან.

*** გორის ქალაქის თვით-მმართველობას დაუდგენია, აუკრძალოს ყველას უმთავრეს ქუჩაზედ სასმელის დუქნების გახსნა. ქალაქის თვით-მმართველობა მოკლე ხანში დაახურვინებს ყველა იმ დუქნებს, რომელიც აქამდე სწარმოებს. თვით-მმართველობას აზრადა აქვს, ერთობ შეამციროს გორში სასმელების დუქნების რიცხვი.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: «ქართველნი მრეწველნი. 1 გიორგი დავითის-ძე ქართველიშვილი», გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან, ფასი ორი შაური.

*** მივიღეთ მეორე ახალი წიგნი «პირველი ნაბიჯი», გიორ. წერეთლისა, ტომი მესამე, გამოცემული ქუთაისის წიგნის გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის მიერ. ფასი 70 კაპ.

# ფელეტონი

## სურათი სოფლის ცხოვრებისა

(ვუძღვნი სამეურნეო ბანკის მეთაურთ).

### I შემოდგომა.

შემოდგომა ილევა და მოახლოვებულია ზამთარი. სოფლის საერთო მოძრაობაა. ვისაც-კი რაიმე საქმე დარჩენია მინდორში, ეჩქარება და ამთავრებს. ლიახვის მხარმარჯვნივ № სოფლის მცხოვრები გუთნის დედა, გვარად ტეტია, ამაყად დაჰყურებს თავისისავე ხელით გაკეთებულს გუთანს და სიამოვნებით შეჰხარის გალაპლაპებულს სახნავს, რომელიც ისვრის გვერდით ვეებერთალა ბელტებს.

ნეტავ რამ გამაჩინა...ო-ო ო,
და რამ და დამარჩინა ..ო-ო-ო!

დასძახოდა კარგა მოღერებული მეხრე, მეოთხე გუთნის ყევრის უღელზედ მჯდომი, და დანარჩენნი პატარა მეხრენიც ბანს აძლევდნენ თავთავიანთ ყევრების თანაბრად და ერთხმად, გარკვევით.

— მზე იწურება, დაუჩქარეთ, დაუჩქარეთ, თქვენი ჭირიმეთ, ბიჭებო,— გასძახებდა ხოლმე გუთნის დედა მეხრეებს და თანაც ბოლო სიტყვის დამთავრებით მიჰყვებოდა მათ ბანით. ისინიც, გუთნის დედის ხმის გაგონებაზედ, აჩქარებით გადაიქ-გადმოიქნევდნენ ჰაერში სახრეებს და «ჰა, თფუოს» დაძახებით, თავთავიანთს ყევრებს ამხნევებდნენ და ბოლოს ისევ სიმღერას მოჰყვებოდნენ.

მზე ამოეფარა ცხინვალის ხეობის საყინულე მთას და იწყო დღემ ღამესთან გაყრა.

საამური,წყნარი ნიავი ჰქროდა ჴ, სადაც-კი ჯეჯილი ამწვანებულიყო, აბიბინებდა სასიამოვნოდ.

დაბინდდა. ჩვენმა გუთნის დედა ტეტიამაც აუშვა გუთანი და წამოვიდა ღიღინით სოფლისაკენ, დღევანდელის ნამუშავრის კმაყოფილების ნიშნად; მოახლოვდა თავის სახლთან და, შეხედა თუ არა თავისს ახლად დადგულს დაუხურავს ქვითკირის დარბაზს, შესწყვიტა ღიღინი, თავის გაქნევით ღრმად ამოიოხრა და ჩაეშვა თავისს მამა-პაპეულ ჯურღმულს დარბაზში.

კარგა მოზრდილ მიწურ დარბაზს შუა ცეცხლი გუგუნებდა, რომლის გვერდითაც ლობიოს ქოთანი თუხთუხებდა და შუა ცეცხლში ჩამოკიდებულ ჯაჭვზედ ეკიდა ქვაბი რძით. დიდი და პატარა ცეცხლს გარს შემოჰხვეოდნენ და შესცქეროდნენ.

— ლექსაა! დააბინავე, შვილო, საქონელი?—დაეკითხა ოჯახის უფროსი მიხა შემოსვლისათანავე.

— ჰოო!—მთქნარებით მიუგო ლექსამ თავისს მამას.

— ადე, შვილო, კოტკა! კალოზედ გადი, იქ ხომ არ არის ტახი, ის ამოსავარდნელი, ისა,—უთხრა აჩქარებით შემოსულმა დიდედამ.

— ადე შენცა, ლექსა! მოსძებნე, არ დაიკარგოს,—უბრძანა მამამ.

— ბაკშია, დიდედო, ბაკში! წამოიძახა მესამე შვილმა ანდრიამ შემოსვლისათანავე და მოუჯდა ბოლოში ძმებს, რომლებიც ის-ის იყო ტახის ძებნას უნდა შესდგომოდნენ.

— ბაკი ხომ დახვეტილია? - იკითხა მამამ.

— აბა, მაშ ისე გავუშვებდი დილას?! —თითქო წყენით მიუგო კეკემ და დაუწყო ლობიოს ზელვა ქოთანში.

— ისეთი ჯეჯილია, ი დალოცვილს ჩვენს ანდრიასეულს მიწებში, რომ ავის თვალით არ ინახვის,—სთქვა მიხამ პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— თუ ამინდმაც ხელი შაუწყო, სწორედ ძაღლი არ დაჰყეფს ჩემს ბედს მემრისს, ისეთი მოსავალი მოვა,—დაასრულა მანვე.

— მამაა, ჰა, მამაა!—დაიძახა გამეორებით პატარა ანდრიამ.

— რაა, შვილო?

— რითვის ვეძახით მიწებს ანდრიასეულს? - იკითხა ანდრიამ.

— შენის პაპის ანდრიას ნაყიდობაა, შვილო, და იმიტომ,—მიუგო მამამ.

ამ დროს სუფრაც გაიშალა, შემოუსხდნენ ყველანი თავთავიანთ რიგზე და დარიგდა ლობიო. პური აიღო მიხამ, პირჯვარი გადაიწერა და გასტეხა. დაიწყეს პურის ჭამა. პატარეები ტკბილად რძეს შეექცეოდნენ და მოზრდილები ლობიოს.

— შვილო, მიხა!—დაიწყო ცოტა ხნის შემდეგ მოხუცმა,—ახლა რატო იმ დარბაზს ყურს არ უგდებ და რამით არ დახურავ, რომ გადავიდეთ? ხო ხედავ, აქ ცალკე წყალი ჩამოდის და ცალკე ე კუთხიდგან ქარი უბერავს ხოლმე,—და ანიშნა ჩამონგრეულს მიწის კედელზე.

— ეეჰ, დედაჩემო! შენ ასე გგონია, ჩემს გუთანს ოქროს ბელტები ამოჰქონდეს მიწიდგან, ან კიდევ, ავალიანთეული ტყე ჩემი იყოს! მე-კი არა მტკივა გული, რო შევხედავ ხოლმე? სულ ცოტა, კიდე ერთი სამი თუმნის ყავარი არ ეყოფა.

— ისესხე, შვილო, სადმე; მა როგორ იქნება ამ ზამთარ აქ დარჩომა? უწინამც დღე გამქრობია, და ხომ ამოვიხოცებით, ან და რა შეშა გაგვიძლებს?

— კვირას-კი არ ვიყავ ცხინვალში მოშასთან!!. ჯერ ერთი ისე გაიწყვიტა, თითქო მისს გაჩენაში სრულიად აღარა ებადა-რაო, მერე-კი მეუბნება: «მოგიხერხებ მხოლოდ თუმანზე ათს ჩანახს გამოგართმევ სარგებლად კალოზედაო და ოთხ თუმანზედაც რვა თუმანს დაგიწერ თავნადაო; თუ ვინიცობაა სარგებელი არ მომეციო, მაშინ წაგართმევო და, თუ მომე სარგებელი, კიდევ ვალად დარჩება მხოლოდ ოთხი თუმანიო! ეჰ, ოთხ თუმანზე ოთხ თუმანს-კი არა უჭირს-რა, რადგან ვიდრემ გარდავიხდი თავნს, ყოველთვის მივცემ სარგებელს, მაგრამ, ე ათი ჩანახი-კი მეტის მეტია; მერე ი ოხერი, მგონი, ოცდახუთ გირვანქიანია!

— ოი, მთლადაც ამობუგულა, ეგ დაწყევლილი, ეგა!—ჩამოსწყევლა მოხუცმა.

— ეგ ხომ ექვს ფუთზედაც მეტი მოდის! — ჩაერია ღრმა ფიქრის შემდეგ ლექსა.

— მა! და სულ რო ცოტა ვიანგარიშოთ, ფუთზედ თოთხმეტი შაური მოდის, და სულ-კი...—ცოტა ფიქრის შემდეგ განაგრძო.—ოთხ მანათსა და ერთ აბაზს იზამს...

— ოჰო! — გაკვირვებით წარმოსთქვა კოტემ.

— კაცოო?—მიჰმართა კეკემ ქმარს.— იმ დღეს, აი, ჩვენებიანთ ყმაწვილი რომ იძახდა: სასოფლო ბანკიაო და თუმანზე მანეთამდე მეტს არ ახდევინებენ სარგებელსაო, რატო იმისი არა გაიგე რა?

— გაიგე, ასე გგონია... ცხინვალში იყოს, რომ ავირბინო და ჩამოვიტანო.

— მა სად არის მამი?—დაეკითხა ცნობის-მოყვარეობით კოტკა.

— სადა, შვილო, და ქალაქშია.

— გორში?

— არა, ტფილისში! ბარე, იცოცხლე, კარგია, მარა ჩვენ ვინ გვაღირსებს?..

— აკი თქვა, რომ გლეხებისთვისაც არისო?!— უთხრა კეკემ.

— შორს არის, დედილო, შორს! იქ ჩასვლას ფული უნდა, მე კი ე მაგ ბოძისათვის არ მაქვს ფული, რომ დავფარო და... სხვა არა იყვეს-რა, ამ ჩოხით ხომ ვერ წავალ? იქ ქალაქია განა! იქ თუ პატარა სუფთად არ აცვია, მეტადრე გლეხს, არც-კი გაატარებენ ქუჩაში; და იმტონს გითაქებს «გარადოი», რომ, ვინ იცის, სახლის გზა ვერც-კი გაიგნო.

— აი ჰინახული იმ დღეს უკან რაღას ჩამოიტანე? როგორც იყო გაჰყიდდი მაინც და...

— მერე, გადამეყარა?!—გააწყვეტინა მიხამ ცოლს ხმის ამაღლებით.—არ გითხარ იმ დღეს, რომ ნახევარ ფასსაც არ მაძლევდნენ?

— ღმერთო?!—მოიგონა კოტემ გაკვირვებით.—რა ჰქნეს იმ დღეს იმ გასივებულებმა და! მივიტანეთ ურემი თუ არა, დედა, მაშინათვე მოგვეხვევნენ ი სასწორთან, დაუწყეს სინჯვა და მერე გაიფანტნენ ნელ-ნელა. ერთი გასივებული, — ისეთი ქამარი ერტყა ი ლიპზედა, სწორედ აი ჩვენ გუთნეულის საბძელზედ სქელი იყო,—დარჩა და ფასის გაგების შემდეგ შემოგვაძლია ფუთზედ სამი აბაზი და წავიდა; მერე მეორე მოვიდა და იმან კი ათი შაური შემოგვაძლია, და ის იყო და ის; შუადღემდე აღარავის-რა შემოუძლევია, თითქო პირი შეჰკრესო.

— ისემც მამა უცხონდებათ, მე იმათ ამითანა ხორბალი ოხრად არ მივცე! როცა ოთხი აბაზი გახდება, მეც მაშინ გავყიდი, გარდაწყვეტით დაასრულა მიხამ და კიდეც გავიდა კარში.

— ელოდე, სანამ არ დაგითვალონ, — წაიბუტბუტა კეკემ და შეუდგა სუფრის ალაგებას.

ყველანი წამოიშალნენ. ქალებმა, სუფრის ალაგებისა და საფენის გადმოგვის შემდეგ, გაშალეს ლოგინი და ბავშვები დააწვინეს, ხოლო მოზრდილი ბიჭები, კოტკა და ლექსა, გაჰყვნენ მამას.

გარედ რომ გამოვიდა, მიხამ გადახედა კიდევ თავისს ქვითკირის დარბაზს, ამოოხვრით თავი გაიქნია და გაივლო გულში ვედრებით: «ღმერთო! როდის შემაძლებინებ ამას ყავარი დავხურო, მხოლოდ ურიის ვალს-კი მომარჩინე და ამაცდინეო...»

ბადრი მთვარე ჩვეულებისამებრ მისცურავდა ცის კამარაზედ ღრუბლებს შორის, რომელიც თითქო სცდილობს ხელი შეუშალოს მთვარეს იმ არე-მარეზე თავისუფლად ცურვასო, მაგრამ მთვარე მსწრაფლ გაუსხლტებოდა ღრუბელს და გადმჰხედავდა ხოლმე იმ არე მარეს, რომელსაც ბევრი ვაი-ვაგლახი გარდაჰხედოდა თავს.

ს. გლახაშვილი.

„*„ ალექსანდრე სარაჯიშვილის სახლიდგან, რომელიც აკიმოვის ქუჩაზეა, ქურდებს ხალიჩა მოუპარავთ, ღირებული 30 მანეთად. ქურდი ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ.

# ჩვენებური ამბები

**კავთისხევი** (გორის მაზრა). მშვენიერია სოფელი კავთისხევი: ბუნებას უხვად დაუბერტყია თავის მადლიანი კალთა და აღუვსია იგი ყოველის სიკეთით. რა არის თვალის წარმტაცი, გულის გამახარებელი, გონების გამაფხიზლებელი, სულის ამამაღლებელი, ოცნების გამაორკეცებელი და კუჭის ამომქოლი, რომ ჩვენს კურთხეულს სოფელს არ მოეპოვებოდეს! კიდევ ვიტყვი, რომ კავთისხევი კაი პატრონის მფარველობისა და ხელმძღვანელობის ქვეშ, თამამად იტყოდა: ჩემ ტოლთა შორის მეც არავის ჩამოვრჩებიო. ვამბობ—კარგი პატრონის ხელში-მეთქი, მაშ არ ვარგებულა ეს უკანასკნელი, ან იქნება, როგორც ჰგონია ბ-ნ ჩადრისთაველს, აღარ არის იგი, განისვენა აბრაამისა და იაკობისა წიაღთა შინა? არა და არა! კავთიხევს პატრონი-კი არა, კარგი პატრონებიც ჰყავს, რომელთაც ვერ ჰხედვენ ზოგიერთნი იმიტომ-კი არა, რომ ვითომ არ ვარგანან, ან დახოცილან, არამედ იმიტომ, რომ პირში ბურთი ჩაუჩრიათ მათთვის და ხმას ველარ იღებენ. თევზისა არ იყოს: სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლით მაქვს სავსეო,—ჩვენი საქმეც ასე გახლავთ. რას იზამ,—იტყვი რასმე ვაია, არა და—ვაგლახზე ვაგლახია! მაგრამ განა ეს სიკვდილია ჩვენის პატრონისა, ან შეიძლება ითქვას, რომ არ ვარგა იგი, არა აქვს ძალა და შნო, რომ აუხილოს ხალხს თვალი, დაანახვოს ზნეობრივად დ ნივთიერად დაქვეითებულ თავისს მოძმეს ჭეშმარიტება და ამნაირად ცოტად მაინც შეუმსუბუქოს უკუღმართის ცხოვრების მძიმე უღელი?! ვგონებ, რომ არა. აქ დამნაშავე პატრონი-კი არაა, არამედ დრო, გარემოება. აბა, რა ჰქნას იქ პატრონმა, სადაც მის შვილნი ერთი-ერთმანეთის სისხლსა სმენ და ხორცსა სჭამენ, სადაც მკვიდრი ტახტი დაუდგამს ფლიდობას, გაიძვერაობას, ბეზღობას და სადაც ღრმად ჩაუყრია საძირკველი შურსა და მტრობას?!

«იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია,
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და
შური»-ო,—ამბობს პოეტი.

ხმას ამოიღებ—გარბიან... (მკითხველო, მიხვდები სადაც), მოღალატეა, «ბუნტოვჩიკიო», არა და, შორს მყოფი სიძე-მოყვრები დარდისაგან აღარ არიან: ქალ-სიმამრნი დაგვყლეტიანო. ის-კი აღარ იციან, კურთხეულის შვილებმა, რომ პირზე კლიტე-დადებული ადამიანი ამირანია, იალბუზის მთებზედ მიჯაჭული, რომ ყველას აქ ღვთის წყალობა ღვთის რისხვად ეყურება, რომ თვითონ ჩვენი მოძმენი, ჩვენი სისხლნი და ხორცნი, სახით მტაცებელი მგლებნი და შხამიანნი გველნი, შიგნით-კი უმანკო კრავნი, ჰგლეჯენ გულსაც, კუდსაც და მათთან ენასაც იმათ, რომელნიც განიზრახავენ ხალხისთვის რაიმე სიკეთეს, თუნდ, მაგალითად, ცოტაოდენ გონების განათლებას. მოგახსენებთ ერთს მაგალითს, რომელიც შემომჩივლა ერთმა სოფლის გულ-შემატკივარმა შვილმა: კაცო, ამაზედ მეტი უბედურება გინახავთ სადმე! გაზეთს ვკითხულობდი, ხალხი შემომეხვია, რადგანაც ომი აინტერესებდათ, და რამდენიმე კითხვა მომცეს; მეც ვუთხარ, რაც შემეძლო, გავაცანი მოკლედ ჩვენი ისტორია, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება, მისი ცხადი და ჩუმი მტრები, ერთის სიტყვით, ეოთობ უმანკო და უზადო ბაასი მქონდაო. ღმერთმა უწყის, რომ ამაზე მეტი არა თქმულა-რა. მაგრამ ნახე ჩემი განცვიფრება და მასთან მეტიც—შიში: ერთი გავლენიანი გლეხთაგანი, (ჯერ ამაზედ მეტად არ ვსთვლი საჭიროდ გამოვააშკარავო მისი ვინაობა), შორი-ახლო ატუზულიყო ჩვენს უკან და თავის კანტურით რაღასაც ებუტბუტებოდა ორიოდე თავის მსგავსს გლეხს. როცა ვიკითხე მიზეზი მათის განცალკევებისა და ბუზღუნისა, მითხრეს:—ასე ამბობს, რომ ეგ ლაპარაკი მთავრობის წინააღმდეგია და ახი იქნება, რომ ეგ ვაჟბატონი «პრიტავს» გავაცნოო». მე, ჩემის მხრით, დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა არ იწყენს ამ გულწრფელსა და ფრიად სასარგებლო მუსაიფს გლეხებთან, თუ კი ეს მეტი ბარგი სოფლისა და საზოგადოდ კაცობრიობისა უცვლელად, დაუმახინჯებლივ ვარდასცემს ამ საქმეს მთავრობას, რაც კვალად მრწამს, რომ არ შეუძლიან მას, გინდ გულითაც მოისურვოს. განა მავნებელია გლეხმა იცოდეს, რომ მისი კეთილდღეობა ბევრად დამყარებულია სახელმწიფოს უმჯობესს ყოფა-ცხოვრებაზე, მის ძლიერებასა და მშვიდობიანობაზე? ნუ თუ მთავრობის რომელიმე წარმომადგენელი არასთვლის ამ საქმეს საჭიროდ?! მე-კი არა მგონია. . და სხვებისა რა მოგახსენოთ.

ჯერ-ჯერობით კმარა ამ საგანზე ლაპარაკი. შემდეგში ვეცდები,—თუ მეტადრე რომელიმე წყლულს შეგვიამებს მაინც ეს მცირე წერილი, უფრო დაწვრილებით გავაცნო მკითხველს ჩვენი ყოფა-ცხოვრება, რომელსაც ბატონმა ჩადრისთაველმა მარტო გვერდით გაუხახუნა; მაგრამ ამაზედაც მადლობას ვწირავთ, რადგან მისის გულის სიღრმიდან ამოხეთქილმა კვნესამ: საწყალ კავთიხეველებს ქუნთრუშა დარევიათო,—ექიმი მოგვიყვანა, რომელიც ერთის საათით გვესტუმრა, გვკითხა ვისა გჭირთ ქუნთრუშაო, მერე გვანუგეშა კიდეც: ნუ გეშინიანთ, ქუნთრუშა-კი არა, «წითელა» არისო, და ისევ მალე წაბრძანდა. სხვათა შორის, ისიც დაუმატა: გლეხს წამლით არ არჩენენო. ასე, ჩემო ბატონო. წამლისთვის, მეტი გზა არ არის, ისევ ბატონ ჩადრისთაველს უნდა მივმართოთ. ეგებ «რეცეპტი» თავის კავთისხეველ ექიმებსა და სტუდენტებს დაგვიწერინოს და წამალს-კი ბ-ნ ჯაჯანაშვილის აფთიაქში გვიყიდის.

ეჰ! რა გაეწყობა, გავამართლებ ნახევრად ბ ნ ჩადრისთაველს, რადგანაც ეტყობა, რომ შორსა დგას იგი ჩვენზე, არ არის ჩვენს შინაგან ცხოვრებაში ჩახედული, ხოლო რომ გაიცნოს სოფელი და ისიც კავთისხევი, საჭიროა გახდეს მისი მუდმივი მცხოვრები.

მართლა, კინაღამ დამავიწყდა: ამას წინათ სამი ღვინის ქურდი დაიჭირეს ჩვენში; გვეგონა მოგვაშორებდნენ, როგორც სოფლის მავნე წევრებს, მაგრამ დღესაც აქა ბრძანდებიან: შენდობა გამოუსყიდნიათ იმათ ექვსის თუმნით, რომელიც მისცეს მათ დღეს გოგიას და ხვალ კი ორჯერ და სამჯერ მეტსაც მოჰპარავენ პეტრეს, ხოლო აქაც თუ ნახტომი შეეშალათ, იმედია, ზეგ მაინც გაიმარჯვებენ დათოსთან.

დროებით კავთისხეველი.

**ხონი.** ხონის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიას სულ ჰყავს 120 კომლი მრევლი. ეკკლესია პატარაა, მაგრამ მშვენიერი აგებული კია.

როგორც საზოგადოდ ვეძლგან, აქაც ეკკლესიის ეზო შეკავებული უნდა იყვეს, ისე, რომ მიცვალებულთა საფლავებს პირუტყვნი არა სთელავდნენ. ამ გარემოებას მთავარ-ანგელოზის ეკლესია მოკლებულია. პირველ დანახვაზევე ეზო უფრო წააგავს ძველ თავადების გომურს, სადაც ერთად არიან ხარი, ძროხა, ღორი, ბატები და სხ.

ვისი ბრალია ასეთი მდგომარეობა ეკკლესიის ეზოსი? მღვდელი ხალხს აბრალებს, ხალხი მღვდელსა; მღვდელს არა ერთხელ განუმარტავს ხალხისათვის მათი მოვალეობა მაგრამ ამაოდ.

საეკკლესიო სკოლის ბალკონზედ, როგორც შაბათს, სადამოს ლოცვის დროს, ისე კვირა სადამოსაც, არის ხოლმე კრება და დიდი მითქმა-მოთქმა. აქვე თავს იყრიან მოსწავლენიც და არა სასურველად იქცევიან, ეხლავე ეჩვევიან არშიყობასა და ქალების გარყვნასაც.

კარგი იქნება, ამ გარემოებას ყურადღებ მიაქციოს, ვისაც ჯერ არს, და აუკრძალოს ქუჩებში ხეტიალი.

გრიშა იმერელი

**სოფ. აძუბჟა** (აფხაზეთი), კოდორის ნაწილი სოხუმის ოლქი. წელს აქეთკენ მშვენიერი თბილი ზამთარი დაგვიდგა, რაც ხელს უწყობდა მაქსიმოვის ხე-ტყის ქარხნის მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. ასეა თუ ისე, ღვთით კმაყოფილნი ვართ ჩვენის მდგომარეობისა, მით უმეტეს, რომ არავითარ ავადმყოფობისაგან შეწუხება თითქმის არა ვიცით-რა ჯერ-ჯერობით.

მხოლოდ ხანდახან თუ შეემთხვევათ უბედურება, მაგალითად: მოულოდნელი წრილობა და სხვა ამისთანაები ქარხნებში მუშაობის დროს. აქაურ სახერხ ქარხნების მმართველი, დიდად პატივცემული ბ-ნი ს. ნ. ანდრეევი, რომელსაც თავის განკარგულების ქვეშა ჰყავს ერთგულნი თავ-თავიანთ საქმისა და მოვალეობის მტკიცედ მცოდნენი და აღმასრულებელნი მოთავე მოხელენი, კარგად და ყურადღებით ექცევა მუშებს; ყველა ეს ხელს უწყობს მრეწველობის საქმესა და წინდაწინაც იცავენ თავიანთს მოვალეობასა, რომ ყოველივე უბედური შემთხვევა წინდაწინვე აცდინონ თავიდან მუშებსა.

აქ ბევრს მოსდით რუსულ-ქართული ჟურნალ-გაზეთები და ყოველსავე ცნობას შორეულ აღმოსავლეთის შესახებ გულის ფანცქალით მოელიან.

სახერხ ქარხნების მსახურთა და მუშათა ამხანაგობამ, ბ-ნ მმართველის დახმარებით, გამოიწერა «რუსეთის დეპეშათა სააგენტო»-ს დეპეშები, ოთხი ეგზემპლიარი მოგვდის ყოველ დღე.

ჩვენის ქარხნების სამექანიკო განყოფილებიდან რვა კაცმა თხოვნა მისცა სოხუმის ოლქის უფროსს, «მზადა ვართ ბრძანებისათანავე წავიდეთ შორეულ აღმოსავლეთში მტრის წინაშე საომრადაო».

ბ-ნ ს. ნ. ა—ვის თაოსნობით, რუსეთის ფლოტის სასარგებლოდ ქარხნების მუშათა შორის მოგროვდა ას ორმოც და ხუთმეტი მანეთი და ერთი აბაზი (155 მ. 20 კ.) რომელიც უკვე გაიგზავნა დანიშნულებისამებრ. ერთხმად დაადგინეს მაქსიმოვის ქარხნის მსახურებმა და მუშებმა, პირველ თებერვლიდან ყოველ თვე 2% გამოირიცხულ იქმნას იმათ ჯამაგირიდან ომში მოკლულ და დაჭრილ მეომართა ოჯახობის სასარგებლოდ, სანამ რუსეთ-იაპონიის ომი დასრულდებოდეს. პატრიოტული გრძნობა აღუძრა მუშებს ბ-ნ ს. ნ. ა—ვის წარმოთქმულმა სიტყვამ ეხლანდელის ომის შესახებ.

ა. ტ.

**ქ. ოზურგეთი.** დღემდე თუ ოზურგეთი ცოტათი გამოღვიძებული იყო და მოძრაობდა, დღეს მიძინებულია და წყვდიადში მყოფ სოფელს მოგაგონებთ. ვაჭრებს დაუდვიათ დახლზედ თავი და სადათას ძილს მისცემიან; თუ ექვს თვეს ასეთმა კრიზისმა გასტანა, ოზურგეთში მარტო დუქნები-ღა დარჩება, მოვაჭრეებს ველარ ნახავთ. კრიზისმა გამოიწვია ისიც, რომ ვაჭრები თავიანთ ნოქრებს ითხოვენ და ასე ეუბნებიან: «ჩვენთვის არაფერი აღარა გვაქვს, თქვენ რა მოგცეთ»-ო.

ოზურგელი ვაჭრები უფულობასა და ვაჭრობის დაცემას იაპონიას აბრალებენ. «რაც აქ ფული იყო, ყველა იქ წაიღეს და აქ რაღა იქნებაო». სამაგიეროდ, ვაჭრებმა და სოფლელებმა წელს მებაღ-მევენახეობას მიჰყვეს ხელი. ოზურგეთის ახლო-მახლო დღეს ხშირად შეხვდებით ამერიკის ვაზზედ დამყნილ ვენახებით გაღამაზებულ ბაღ-ვენახებს. ყველამ კარგად იცის, რომ გურულები ერთმანეთის მიმბაძველნი არიან და ამიტომ სამ-ოთხ წელიწადში გურია სულ ამ ახალის ბაღ-ვენახებით გაშენდება.

ი. გორგოლაძე.

## კახელ მევენახეთა საზოგადოების წევრთა მორიგი წლიური კრება.

(შემდეგი *)

8 მარტს კრება გაიხსნა დილის 11 საათზედ; დაესწრო 51 წევრი, მოისმინა წინა დღის კრების ოქმი და განაგრძო საქმის განხილვა.

თავმჯდომარე კრებისა. გუშინ გამოითქვა აზრი, ზედ-მეტის ფულის გატანაზედ ამოვირჩიოთ კომისია, რომელმაც ეს საგანი, თანახმად წესდებისა, მოაწესრიგოს როგორმეო. ჩემს რჩევას კომისიის არჩევაზედ ზოგმა ეჭვის თვალით და ზოგმა კომისია საქმის სამუდამო გადადებად ჩასთვალა. არა, ბატონებო, საქმე არც საეჭვოა, არც საშიში. გამგეობის თავმჯდომარის მოხსენება საქმის მდგომარეობაზედ ცხადად გვიჩვენებს და ამით ღრმა რწმუნებას ჰბადებს თვითოეულში, რომ ჩვენი საერთო საქმე მკვიდრ საფუძველზედა სდგას და რაც ვისმე ცუდი გაუგონია, როგორც ავვიხსნეს და დაგვარწმუნეს, ეს უსაფუძვლო ჭორია, რომლის შეთხზვაშიაც მონაწილეობა უძღვთ ამ დაწესებულების მტერ-მოყვრებს და გავრცელებაში-კი ბევრი ჩვენთაგანიც არის მონაწილე. მართალია, ჩვენ საერთო საქმეს ერთი ნაკლი აქვს, ეს ნაკლი არის ზედ-მეტად გატანილი ფული და მისი ზრდა მომავალში. ჩვენ თუ ამ ნაკლს ავარიდებთ, მაშინ დაწესებულების წინ-სვლა უზრუნველ-ყოფილი იქმნება. მე ვამბობ, რომ დაწვრილებით განხილვა ზედ მეტად გატანილის ფულისა აქ, საზოგადო კრებაზედ, მოუხერხებელია. ამისთვის გირჩევთ კერძო კრების გამართვას.

თავ. ალ. ვახვახიშვილი. მე მტკიცედ ვიცავ წესდების დაურღვევლობას. ამისათვის ყოველი კომისია და სხვა ამისთანაები, რა მხრიდანაც უნდა შეეხოს საკითხს ზედ-მეტ ფულისას, წესდების დაურღვევლად ვერას გზით ვერ მოაწესრიგებს. აიღეთ უკანონოდ მომხდარი და მოსახდენი ფაქტები და ან ერთი, ან მეორე აქციეთ კანონიერად განა ეს შესაძლებელია? ასეთივეა ზედ-მეტად გატანილი და გასატანი ფული. მომხდარსაც და მოსახდენსაც ერთნაირად ეწინააღმდეგება ჩვენი წესდება თუ ამას დაიჟინებთ, იძულებული ვიქნები, ვითხოვო, რომ ოქმში იქმნას შეტანილი.

თავმჯდომარე კრებისა. რას დაუშლის საქმეს და ან რაში იქნება წესდების დარღვევა, რომ თავ. ალ. ვახვახოვი სხვებთან ერთად ავარჩიოთ; დავავალოთ მათაც, თავის მხრით მოიწვიონ საქმის მცოდნე და გამოცდილნი კაცნი, გაიცნონ დაწვრილებით საქმე, ასწონ-დასწონონ და გვიჩვენონ გზა, რომელიც საიმედო ნავთსაყუდელთან მიგვიყვანს.

თავ. ალ. ვახვახიშვილი. ერთად-ერთი გზა არის; რაც ადრე დავადგებით ამ გზას, ისა სჯობია. ამისათვის-კი შეიძლება ავირჩიოთ კომისიაც, რომელსაც გადაეცემა ყოველივე ცნობა ზედ-მეტად ფულის გამტანელთა და ის გაარჩევს საიმედოთ უიმედოთაგან.

თავ. ნ. აბაშ ძე. თავ. ვახვახიშვილი ამბობს, წესდების დარღვევა იქნებაო, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩვენ წესდებით კომისიის არჩევის ნება გვაქვს, წესდებითვე გვაქვს ნება არჩეულთ დავავალოთ ჩხრეკა-ძიება ჩვენის საქმის მსვლელობისა. რაღაში ჰხედავენ აქ წესდების დარღვევასა?

ბ. დავით გამყრელიძე. სანამ კომისიის არჩევაზედ ვილაპარაკებდეთ, ყველას ის ემჯობინება, კრებამ გაეცნოს ზედ-მეტად ფულის გამტანელთა სიას, იქნება თვით კრებამ უკომისიოდ აირჩიოს გზა. კრებაზედ უკეთესად კომისია ვერ გასჯის, რადგანაც ზედ-მეტად გამტანელთა რიცხვი მცირე არ არის; შეიძლება სამი კაცი რომელსამე მათგანს ვერ იცნობდეს, კრებაში კი უეჭველად აღმოჩნდება იმისი მცნობი. მე და ჩემთან ერთად მრავალნი წევრნი ვთხოულობთ, გაგვაცნოთ დაწვრილებით ანგარიში თვითოეულ იმათგანისა.

თავ. ალ. ვახვახიშვილი. მე უარსა ვყოფ ბ. გამყრელიძის მოთხოვნილებას. რაც შეეხება თავ. აბაშიძის ნათქვამს, ცხადია, ვერ გაუგია იმას, რაშია წესდების დარღვევა. უნდა კიდევ გავუმეოროთ, რომ ყოველის გროშის ზედ-მეტად გატანა საზოგადოების კასისაგან წესდების დარღვევა იქნება, რადგანაც ეს წესდებით აკრძალულია.

გამგეობის თავმჯდომარე. წევრის ანგარიში მისი საიდუმლოა; ამიტომ მე სიას ვერ წავიკითხავ, მხოლოდ შემიძლიან მოვახსენო კრებას: საზოგადოება მიითვლება 167 წევრი, იმათგან 50 წევრთან საზოგადოება ღვინის ფასში გასწორებულია; 72 წევრი არამც თუ ღვინის ფასშია გასწორებული, არამედ ზედ-მეტად ფულიც აქვთ წაღებული, რასაკვირველია, სხვა-და-სხვა დროსა, და აქამდის არ არიან საზოგადოებასთან გასწორებულნი; 45 წევრთან თვით საზოგადოება არ არის გასწორებული, ე. ი. ჯერ თავისი ღვინის ფასი სავსებით არა აქვთ მიღებული.

წინადაცა ვსთქვი და ახლაც ვამბობ, ზედ-მეტად ფულის გატანა უკანონო მოვლენაა მეთქი. უკანონობა ამ მოვლენისა მით უმეტეს მძიმდება, რომ, როგორცა სჩანს ჩემგან მოყვანილის რიცხვებიდგან, ერთის ხარჯზე ეძლევა მეორესა. ჩვენ იმაზედ უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ ვუშველოთ საქმეს. ერთი საშუალება არის, რომლის შემწეობითაც შეიძლება დავაღწიოთ თავი ამ უკანონობასა. ამაზედ წარსულ კრებასაც მოვახსენე, როცა ვითხოვდი წესდების ერთის მუხლის შეცვლას, რომელიც უკვე შეიცვალა დ ახლა დაგვრჩენია განსახორციელებელი. საქმე იმაშია, რომ კახეთის მევენახეთა საზოგადოებასთან დავაარსოთ წევრთა ურთი-ერთ დამხმარებელი ფონდი. ამ ფონდის დასაარსებლად ყოველ წლივ მოგებიდგან გადავდოთ ხოლმე ნაწილი და ამ ფონდიდგან სესხად მიეცეს წევრებს ფული. რა თქმა უნდა, ზედ-მეტად ფულის გამტანელნი გაიყოფებიან, ვინც იმათში უიმედოა, იმას აღარ მიეცემა სესხი, ვინც იმედიანი აღმოჩნდება, იმას-კი მიეცემა. ამისთვის ავარჩიოთ კომისია, რომელიც სარევიზიო და გამგეობის წევრთა შეერთებულ კრებაზედ გაარჩევს წევრთა ქონებრივ პირობებს და დაადგენს, ვისი სარგებელი იქმნას შეტანილი ბანკებში. ერთის სიტყვით, მოაწესრიგებს ფონდის მოქმედების საქმესა. გამგეობის წევრთა აზრი მოგების განაწილებაზედ სხვა-და-სხვაა; ზოგი იმ აზრისაა, რომ 20% მოგების თავნს მიემატოს, თანახმად წესდებისა, 5,000 მან. გადაიდვას ფონდის დასაარსებლად. დანარჩენი-კი სარდაფის ასაშენებლად; ზოგის აზრია, 20% გარდა სულ გადაიდვას ფონდის დასაარსებლად.

თავ. ალ. ვახვახიშვილი. მაგრე თამამად განაწილება მოგებისა მაშინ შეიძლება, როცა მოვალეები მოშორებულნი იქმნებიან და მოგებაც ნაღდი ფულით იქმნება გამოხატული. ახლა-კი ჩვენი მოგება გამოიხატება ღვინით, თანაც თვით იმ ღვინის პატრონები არ არიან დაკმაყოფილებულნი. ამიტომ ამ მოგებით იმისთანა საქმის გაკეთება, რომელმაც მოქმედება უნდა დაიწყოს, ე. ი. ფული უნდა გაასესხოს გამოიწვევს ისევ ვალის აღებას. ამიტომ მე გირჩევთ, წესდებით რაც უნდა გამოაკლდეს მოგებას, ის გამოვაკლოთ, დანარჩენი-კი სათადარიგო თანხას მივუმატოთ.

გამგეობის თავმჯდომარე. უნდა მოგაგონოთ, თუ უკანასკნელ ექვს წელიწადს საზოგადოების ვალი და ღვინის ფასის რაოდენობა რაგვარ ურთიერთობა-დამოკიდებულებაში იყო წლიურ ანგარიშის დროს. 1897—1898 წლებში საზოგადოებას ჰქონდა 50 ათასი მანეთის ღვინო; ვალი—37 ათასი მანეთი; მეორე წელს ისევ 50 ათასის ღვინო, 37 ათასი მან. ვალი, მესამე წელს ღვინო ჰქონდა 80 ათასი მან. ვალი—57 ათასი მან.; მეოთხე წელს ღვინო—85 ათასი მან. ვალი 72 ათასი მან., მეხუთე წელს ღვინო—61 ათასი მანეთისა ვალი—50 ათასი მანეთი. მეექვსე წელს ღვინო—37 ათასი მან., ვალი—32 ათასი მან. აწინდელ საანგარიშო წელს ღვინო აქვს 101 ათასი მანეთისა და ვალი 78 ათას მანეთამდე.

მართალია, სარევიზიო კომისია ორსავე ოქმში შენიშვნას გვაძლევს საანგარიშო წლის ვალის რაოდენობაზე და გვეუბნება, წელს ერთი ორად მეტი ვალი აგიღიათო. გამგეობის აზრით, ვალი მაშინ არის საშიში, როცა მისი რაოდენობა არ შეეფერება ქონებრივ რაოდენობას. ჩვენის საზოგადოებისაგან 153,800 მანეთით ქონებრივ შეძლებით უზრუნველ-ყოფილია ვალი. თქმა არ უნდა, ზედ-მეტად ფული რომ არ გაგვეცა, არც ვალი გვექნებოდა ამოდენა, მაგრამ მაინც ეს ვალი საშიში არ არის არც ჩვენთვის და, რასაკვირველია, არც იმათთვის, ვისაც გვმართებს. არც ერთი ვაჭრობა არ აწარმოებს საქმეს უვალოდ. ვინც ვაჭრობის ხასიათი არ იცის, იმას გაუკვირდება ვალი. ვინც ვალის გადახდა იცის, იმას ვალის აღებისა არ ეშინიან. ვინც საქმის მდგომარეობა არ იცის და ლაპარაკობს, ის საქმეს უნებლიედ მტრობას უწევს, თავის უმეცრებაზედ დაფუძნებულ აზრთა გავრცელებით. ვალის აღება კი არ არის საშიში, ბატონებო, საშიში და საზარალო მუდამ ყოფილა და არის უმეცრება. ამისი წინააღმდეგი საშუალება არის ცოდნა საქმისა დაკვირვებით გაცნობისაგან წარმომდგარი.

თავმჯდომარე კრებისა. რადგანაც დაგვიანებულია, თქვენც დაიღალენით და რადგანაც გასაბჭოები საგანი დიდად საყურადღებოა, საჭიროა მოფიქრება, ამისათვის მე შევსწყვეტ კრებას და გთხოვთ, ხვალ დილით, 10 საათზედ, მობრძანდეთ კრების განსაგრძობად.

ნადიკვრელი.

*) იხ. „ივერია“ № 71.

# წერილი
## რედაქციის მიმართ

«ივერიის» 60 №-ში დაბეჭდილია ჩვენის პატივცემულის ვალ. გუნიას წერილი, რომელსაც «ივერიის» 63 №-ში მოთავსებული ჩემი შენიშვნა მეტად უცნაურად სჩვენებია. უპირველეს ყოვლისა, ბოდიშს ვიხდი, რომ პასუხი დავუგვიანე; მაგრამ ამის მიზეზი ადვილი ასახსნელია: ქუთაისიდგან იმ დეპეშას ველოდი, რომელიც ამავე წერილშია მოთავსებული.

ბ ნ გუნიას უკვირს: «რამ აიძულა» პატივცემული მსახიობი, რომ ხსენებული ეპისტოლე დაეწერაო». უნდა მოვახსენო ბ-ნ გუნიას, რომ ის სიტყვაც სწორედ ამ აიძულადან წარმოსდგება, რამაც აიძულა. ვიმეორებ, რომ პატივცემული «ივერიის» რეცენზენტი სწერდა: «გამგე იძულებული იყო სულეიმანის როლი კ. ყიფიანისათვის გადაეცა, რადგან ვ. მესხიშვილი ამხანაგობაში არ ურევიაო». ამას მოჰყვა ჩემი მცირე შენიშვნა, რომელშიაც მხოლოდ ის აღვიარე, რომ მე არ ვაიძულე-მეთქი. ბრალი ავიხადე... ჩემს გარემოებაში მყოფი მგონი ყველა ასე

მოიქცეოდა და თუ ეს ბ-ნ გუნიას უცნაურად მიაჩნია, ძალიან უცნაური კაცი ბრძანებულა.

გარდა ამისა, ვერაფერი თავის მართლებაა, როდესაც ბ-ნი გუნია სწერს: «ჩვენი დაკითხვა უადგილოც და უნაყოფოც იქნებოდა, რადგან ვიცოდით მესხიშვილი არ ჩამოვიდოდაო». საკვირველია!.. ფვით სეზონის დროსვე, რამდენსამე არტისტთან მოლაპარაკება მქონდა შესახებ იმისა, რომ თუ ამხანაგობა შესდგა, შემატყობინეთ და სიამოვნებით შემოგიერთდებით-მეთქი.

ზედ-მეტი: ამხანაგობის დაარსებამდე თვით ბ-ნი გუნია მწერდა: «თუ ამხანაგობა შესდგა, შეგატყობინებო»...

მაშასადამე, ჩამოსვლა შემძლებია?!. რაც შეეხება იმას, რომ მე საზოგადოებისაგან დაჯილდოვებული ვარ,—ეს მართალია, მაგრამ თქვენ რა, ბ-ნო გუნია?! და თუ ის გაწუხებთ, რომ თქვენ საზოგადოება ღირსეულად არ გაჯილდოვებთ—მე რა, მესხიშვილს?! რასაც დასთეს, იმას მომკი.

დასასრულ, რათა არ გეგონოთ, რომ «ზოგიერთი წვერ-ულვაშიანი და უწვერულვაშო ჭორიკანები ყველაფერს ჰბედობენ, კადრულობენ, ცილსა გწამებენ და თქვენ-კი ცამდის მართალი და უმანკო ბრძანდებით, ერთზედ იგითითებთ: სხვათა შორის, თქვენა ბრძანებთ: «ვარწმუნებთ ბ-ნ მესხიშვილს, რომ არც ჩვენ მიგვიღია ხვედრი»-ო... თუ ეს რამდენად მართალია ამას ნათლად ამტკიცებს შემდეგი დეპეშა, რომელიც მიიღო ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარე მდა ხაზინადარმა.

დედანი ამ დეპეშისა შეგიძლიანთ «ივერიის» რედაქციაში მოიკითხოთ.

აი, დეპეშის შინაარსიც: «12 февраля. № 4848. Кутаисъ. копія Пурадову: два адреса Гвелесіани. Убѣдительно просимъ, расплатиться своими средствами; потомъ вышлемъ свои. Гамкрелидзе, Ацкурели, Гунія, Мдивани разсчитаны. Картвеловъ, Клдіашвили».

ეხლა ჩვენ ჩვენის მხრით ვკითხავთ ბ-ნს გუნას: რა აიძულებს საქვეყნოდ ასეთს ლაპარაკს?

მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

---

## „ივერიის“ ფოსტა

**ბარდნოლელს ჩიორას.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ქუთაისი.** ქგ—ს. თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება.

---

# დეპეშა

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მარტი.

**სეული.** («რეიტერის სააგენტო»). როგორც ამბობენ, ჰენიანს ახლო აჯანყება მოახდინეს 500 დათხოვნილმა კორეელ ჯარის კაცებმაო.

**მოსკოვი.** 18 მარტს მოსკოვმა იდდესასწაულა საიმპერატორო საზოგადოების ისტორიისა და რუსეთის სიძველეთა ასის წლის იუბილეი.

**კრონშტადტი.** რეველიდგან მოვიდა ყინულის-მჭრელი «ერმაკი» და დაიწყო მტვრევა ყინულისა შუა ნავსადგურში და პატარა რეიდზე. «ერმაკი» მალე წავა პეტერბურგს.

**ბუენოს-აირესი.** 18 მარტს მთავრობის ჯარებმა დაიჭირა რივერი. მეამბოხენი აღმოსავლეთისაკენ გაიქცნენ.

**ლონდონი.** ინგლისის სააღმირალომ გადასწყვიტა, ფლოტის გემებზე შემოიღოს მარკონის სისტემა დეპეშათა გადაცემისა.

**სოფია.** (სპეციალური). ნამდვილის წყაროდგან იტყობინებიან, სტამბოლიდან იმიტომ გაავრცელეს ხმები, ვითომ გაჩდნენ აჯანყებულთა ჯგუფთნიო, რომ დაჭირონ ის ბოროტ-მოქმედებანი, რომელსაც ოსმალნი სჩადიან.—სოფელ ცინიაზე, კუმანოვის ოლქში, 60 ასკერმა, პორუჩიკის ალის უფროსობით, იერიში მიიტანა.

**ბელგრადი.** «მართებლობის გაზეთში» გამოცხადებულია 12 ოფიცრის დათხოვნა პენსიით. ამათ შორის არიან მიჩიჩი, ისაკოვიჩი, მილირევიჩი და ლუკიჩი.

**სტამბოლი.** ბერძენმა ვასილ ქრისტომანოსმა ორჯერ ესროლა რევოლვერი ბულგარიის მიტროპოლიტს გერისვს სტრუმიცაში, მაგრამ დააცდინა. დამნაშავე შეიპყრეს.

**ბერლინი.** ის ამბავი, ვითომ იმპერატორი ვილჰელმი აზიაში გაჩერდება იმპერატორ ფრანც-იოსების სანახავად, სრულიად უსაფუძვლოაო.

**პარიჟი.** „პეტ. ჟურნალს“ ლონდონიდან ატყობინებენ: პორტამ დიდბრიტანიისა და საფრანგეთის მთავრობას პროტესტი გამოუცხად იმის შესახებ, რომ ეს სახელმწიფოები ეგვიპტის საქმეთა გამო შეთანხმდნენ და ფაქტი კი არა ჰკითხეს. ამგვარივე პროტესტი გამოუცხადებია ლონდონში ქედივსაც.

19 მარტი.

**ბერლინი.** (სპეციალური). როგორც სეულიდან იტყობინებიან, იაპონელთა ჯარები მდინარე პაკჩენამდე მისულან. 53 კაცს იაპონელთა ქვეითა ჯარისას, რომელთაც მდინარიდან ჩრდილოეთ კორეასთან წაიწიეს, თავს დასხმიან უაზახები და დაუხოცნიათ.

ინგლისის კორესპოდენტები, რომელნიც იაპონელებმა ჯარში არ უშვეს, ენდურებიან. მათი თანაგრძნობამ იაპონელთამდი, ასე გასინჯეთ, თვით ლონდონშიაც იკლო.

**ბერლინი.** (სპეციალური). როგორც იაპონიიდან კერძოდ იტყობინებიან, მიკადო თავის ამალით კორეაში წავა,—იაპონიის ნავთსადგურებში თოფს წამლის საწყობი აფეთქება მოხდა. ზარალი არ იციან. ოთხი მოკვდა ხუთი დაიჭრა.

**ლონდონი.** («რეიტ. საგ».). სააგენტომ გაიგო, რომ რუსეთის მიერ ნიუჩუანის საომარ წესზე გამოცხადებამ მოულოდნელი განცდენა იქონიაო. ამითი რუსეთი ჰკისრულობს პასუხის გებას ყველა იმ ზარალისათვის, რომელიც მოუვათ ნეიტრალურ სახელმწიფოებსა. ეს ახალი საქმეთა გარემოება აიძულებს იაპონიას, თავს დაესხას ამ ქალაქსა. რადგანაც რუსეთი ამგვარად იქცევა, იაპონიამ აღარ უნდა მიაქციოს ყურადღება გარეშე სახელმწიფოთა.

**მოსკოვი.** ისტორიისა და რუსეთის სიძველეთა საზოგადოებამ ხელმწიფე იმპერატორისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო:

«საიმპერატორო საზოგადოების ისტორიისა და რუსეთის სიძველეთა ასის წლის იუბილეის გამო, მე მოხარული ვარ დავამოწმო, რომ საზოგადოებამ თვისის შრომით გაამდიდრა ძვირფასის საუნჯით ისტორიულის ცოდნის სალარო, რომელსაც ასეთი დიადი მნიშვნელობა აქვს ხალხის თვითცნობიერების წინ-სვლაში. ვულოცავ საზოგადოებას, გულითა მსურს მისი აღყვავება-წარმატება სასარგებლოდ მეცნიერებისა და სასიკეთოდ მამულისა.

«ნიკოლოზ».

**კალკუტა.** მინისტრთა საბჭოს კრებაზე ვიცე-კოროლმა განაცხადა, ინდოეთი თავისის ადგილ-მდებარეობით წარმოადგენს დიდს ციხესო; თხრილების მეოთხე მხარეს, რომელიც მთებს უდევს, იწყება ციხის მანდორი. ჩვენ არა გვსურს დავიჭიროთ ეს მინდორი მაგრამ, ამასთანავე, ნებას არ მივსცემთ, რომ ის მტერმა დაიჭიროს. როცა იმ ადგილებში უცხოთა გავლენა, ჩვენი სამტრო, ჩამოვარდება ხოლმე, ჩვენ იძულებულნი ვართ ამისთანა მოვლენას წინააღმდეგობა გავუწიოთ, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმისთანა საქმეთა ვითარება გაჩნდება, რომელიც ჩვენს მუუდროებას საფრთხეს დაუგებს ამითი ახსნება მთელი საიდუმლოება საქმეთა მდგომარეობისა არაბეთისა, სპარსეთისა, თიბეთისა და სიამში.

**სტამბოლი.** მექქიდგან დაბრუნების დროს გზაზე ბეჯინებს დიდძალი მოგზაურნი დაუხოცნიათ. ამბობენ, ოთხი ათასამდეა დადუპულთა რაოდენობაო. მომეტებული ნაწილი სპარსები და ინდოელნი ყოფილან. მოგზაურნი იმიტომ ამოუწყვეტნიათ, რომ არა ჰქონიათ შეძლება, ბეჯინთა შეიხებისათვის მიეცათ ფასი იმათ სამფლობელოზე გამოვლისათვის.

**სოფია.** სტამბულოვის მკვლელს ხალიუს 15 წლით ციხეში დამწყვდევა გადაუწყვიტეს.

19 მარტი.

**პეტერბურგი.** 19 მარტს შორეულ-აღმოსავლეთიდგან ოფიციალურნი ცნობანი არ მოსულა.—ხელმწიფე იმპერატორმა ინება და ბრძანა უმაღლესად ამორიცხულ იქმნას ფლოტის გემთა სიიდან ბრძოლაში დაღუპული კრეისერი 1-ლის ხარისხისა «ვარიაგი», საკანონერო გემი «კორეეცი» და ნაღმიანი გემი «სტერეგუშჩი», აგრედვე ზღვაში ჩაძირული სატრანსპორტო გემი «ენისეი».—ფოსტა-ტელეგრაფის მთავარსამმართველო განმარტავს, რომ ცარიელ წერილების უფასოდ გზავნა ჯარში შეიძლება საზღვაო უწყების მეომართა სახელზედაცაო. ასეთს წერილებს უნდა ეწეროს ადრესად დიდ-ოკეანეს ესკადრა და ზედ აღინიშნოს სახელი გემისა, რომელზედაც მსახურობს ადრესატი ან სახელი საზღვაო უწყების იმ დაწესებულეისა, სადაც მსახურობს, თან კიდევ მისი წოდება, ან თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი-

«მთავრობის მოამბეში» დაბეჭდილია უქვეშევრდომილესი მოხსენება იუსტიციის მინისტრისა - სამედიატორო განხილვა ვენეცუელის საქმისა საერთაშორისო სასამართლოს მიერ ჰააგაში 1903—1904 წელს.

**ტოკიო.** („რეიტერის სააგენტო“). იაპონიაში მცხოვრებმა ამერიკელებმა შეადგინეს ფონდი იაპონიის ჯარის კაცთა და მეზღვაურთა გაჭირვებულ სახლობათათვის შემწეობის აღმოსაჩენად. დაუყოვნებლივ შეგროვდა ხელის-მოწერით 75,000 იენი. ამბობენ, ვითომ მთელს ამერიკაში დაიწყო ხელის მოწერაო.

---

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

## პეტერბურგის ბირჟა

16 მარტი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . | 93,90 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . | — |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . | 94,65 |
| ბერლინში „ . . . . . . | 43,30 |
| პარიჟში . . „ . . . . . . | 37,62½ |
| ბირჟის დისკონტი. . . . . . | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 93⅛ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთა ბანკისა . . . | 91⅜ ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 369½ ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . | 311 ნ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 269½ ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | 87½ წვ. გაყ. |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა . . . . . | 88⅛ ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 88 წვრ. გაყ. |

---

## რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათომს:** 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს ს. 72 8 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

**ბაქოს:** 1) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამ შაბათობით).

**ყარს-ერევანს:** 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2. საღამოს 11 ს. 13 წ.

**ბ) ბათომიდან გამოდის:**

**ტფილის-ბაქოსაკენ:** 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ.

**გ) ბაქოდან:**

**ტფილის ბათომისაკენ:** 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); დილის 4 ს 4) 48 წ.

**დ) ქუთაისიდან:**

**ბათომისაკენ:** 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

**ტფილის-ბაქოსაკენ:** ღამის 3 ს. 58 წ.

**ე) შორაპნიდან:**

**ჭიათურა-დარკვეთისაკენ:** 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

**ვ) დარკვეთიდან:**

**შორაპნისაკენ:** 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

---


# განცხადებანი

ხალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16[illegible] გვ.

ფასი 30 კაპ.

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სნებით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ბინა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსის.**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს,—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფსი თითო ნაჭერი** 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საპარფიუმერიო მაღაზიებსა და აფთ აქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (24—11)

---

# მამული

უნდათ იყიდონ ვერაზედ და სოლოლაკში, 300—400 ოთხ-კუთხი საჟენი; რის ნაკლებაც არ შეუძლიანთ პატრონთ გაჰყიდონ, აცნობონ ტფილისის ქალაქის გამგეობაში, სამოსწავლო კომისიის საქმის მწარმოებელს 1-ლს განყოფილებაში, 20 მარტს.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

# პეპანა

2.

# ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ვას-ადლებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распростр. грамотности.




---

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნადეჟდა“

ღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| მარიითადა თანხა . . . . | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხა . . . . | 2.664.808 მან. |

დ ა ზ ღ ვ ე ვ ი ს ო პ ე რ ა ც ი ე ბ ი.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ სიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან- სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლში, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—27)

---

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

# „მწყემს“-ზე

და

რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე

XIX

ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი:

| | |
|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 3 მ. | ორივე გამოცემა . 5 მ. |
| სამკურნალო ფურცლის | 6 თვით “მწყემსი“ . 2 მ. |
| დამატებით . . 4 მ. | რუსული . . 2 მ. |
| რუსული . . 3 მ. | ორივე გამოცემა . 3 მ. |

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ს ესტატე ღამბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში--ბლაღოჩინ ჰამა არ. კალანდარაშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.**

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

---

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

# სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემენარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომია.


Дозволено цензурою Тифлисъ 19 мартъ 1904 г.

Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семинаріи.